კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმის“
ყოველთვიური გამოცემა

საინფორმაციო ბიულეტენი #8

2016 წლის აგვისტო

მომზადებულია პროექტის
„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში
მხარდამჭერი - ორგანიზაცია

Brot für die Welt
Brot für die Welt – Evangelischer Entwicklungsdienst

საანგარიშო პერიოდში - 01 – 31 აგვისტო - მიღწეული შედეგები:

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მუშაობა, აქტიურობა პრობლემათა მოსაგვარებლად

12 აგვისტო, კალენდრის მიხედვით, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეა. ამ დღეს მიუძღვნეს სამობილიზაციო შეხვედრები ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრებმა - ქუთაისში, ხონში, წყალტუბოში, სენაკში, ფოთში და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ხურჩასა და კოკში. შეხვედრების მონაწილეებმა ისაუბრეს ახალგაზრდების პრობლემებზე, თაობათა ურთიერთობებზე.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორები დაესწრნენ საკრებულოს სხდომებს, მოისმინეს განხილული საკითხები და მიღებული ინფორმაციები გავრცელდა სხვადასხვა სამობილიზაციო შეხვედრაზე.

ცენტრები აქტიურად აგრძელებენ მუშაობას სხვადასხვა პრობლემის ადვოკატირების, ბენეფიციართა ინფორმირებისა და ძალადობის მსხვერპლთა დახმარების კუთხით.

სენაკში სამობილიზაციო შეხვედრაზე მობილიზატორს შემდეგი პრობლემით მიმართა ქალბატონმა: ის, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი,

იღებს შესაბამის პენსიას. მის შვილს ბოლო თვეში არ გადაერიცხა პენსია და მიზეზი ვერ გაიგო. მობილიზატორთან ერთად აღნიშნულმა ბენეფიციარმა ბანკს მიაკითხა. როგორც გაირკვა, შვილი უკვე სრულწლოვანი გახდა და, აქედან გამომდინარე, მას ცალკე გაუხსნეს ანგარიში და მისი თანხა სწორედ ამ ანგარიშზე აღმოჩნდა გადარიცხული.

სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრს ასევე დახმარება სთხოვა ქალბატონმა. ის საჭიროებს ძვირადღირებულ ოპერაციას, რომელიც 5000 ლარი ღირს. სახელმწიფო დაზღვევით უნაზღაურდება მხოლოდ 4000 ლარი. მას არა აქვს დარჩენილი თანხის გადახდის საშუალება. მობილიზატორმა განუმარტა, რომ, როგორც სოციალურად დაუცველ პირს, ადგილობრივ მუნიციპალიტეტს შეუძლია დახმარება, დაწერეს წერილი შესაბამის სამსახურთან. აცნობეს, რომ მიიღებს ერთჯერად დახმარებას.

ქუთაისში ერთ-ერთი კოლექტიური ცენტრიდან მობილიზატორს დახმარება სთხოვეს ქალბატონებმა. მათ დასახლებაში გადაიწვა ქუჩის განათება, რაც სერიოზულ პრობლემას ქმნიდა ღამის საათებში. მობილიზატორმა დარეკა მერიის ცხელ ხაზზე და პრობლემის მოგვარება ითხოვა. წერილით მიმართეს ასევე მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურს. პრობლემა სამ დღეში მოგვარდა.

წყალტუბოში სანატორიუმ „მეგობრობაში“, მობილიზატორთა დახმარებით, გამგეობამ წყლის სანიაღვრე მილები გაწმინდა.

სანატორიუმ „წყალტუბოს“ სარდაფში ჩაედინებოდა წყალი, შედეგად - ანტისანიტარია შეიქმნა. მობილიზატორებმა მიმართეს ადგილობრივ გამგეობას. რამდენიმე დღეში სპეციალური ბრიგადა მოვიდა, გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ პრობლემა მოგვარდა.

ხონის სამხედრო დასახლებაში მცხოვრები დევნილები ითხოვდნენ სტადიონის და კლუბის განათებას. მობილიზატორები შეხვდნენ გამგეობის წარმომადგენლებს. აგვისტოში ეს პრობლემა უკვე გადაწყდა. ორივე ადგილზე განათება დამონტაჟდა.

ხონში სამობილიზაციო შეხვედრაზე მობილიზატორს მიმართა ბენეფიციარმა, რომელსაც რემონტი გაუფუჭდა ცენტრალური წყლის მილიდან გამავალი ნაკადის გამო. ქალთა მხარდაჭერის ცენტრმა, დევნილთა საინიციატივო ჯგუფთან, ერთად წერილით მიმართა შესაბამის სამსახურს. დახმარების სახით 500 ლარი გამოიყო.

ფოთში ქალთა მხარდაჭერის ცენტრს დახმარება სთხოვა ქალბატონმა. მეუღლე ინვალიდი ჰყავს და მოუხსნეს სოციალური დახმარება. არ იცის, რატომ. მობილიზატორმა განუმარტა, რომ უფლება აქვს, ხელახლა დაწეროს განცხადება ქულების გადასამოწმებლად. ბენეფიციარმა უკვე მიმართა სოციალურ სამსახურს და ელოდება პასუხს.

მუშაობა კრიზისულ ოჯახებთან და ძალადობის მსხვერპლებთან

კრიზისულ ოჯახებზე დაკვირვება, მუდმივი მონიტორინგი და თანამშრომლობა ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.
სოფელ კოკში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ერთ-ერთ ოჯახში მამაკაცმა სცემა ცოლი. კონფლიქტის მოგვარებაში ჩაერთო სოფლის გამგებელი და ცენტრის მობილიზატორი. ოჯახი კონტროლზეა აყვანილი. ქმარი გაფრთხილებულია, მსგავსი ფაქტის განმეორების შემთხვევაში პატრულს გამოიძახებენ და საქმე სასამართლოს გადაეცემა.
ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მუშაობა პროექტის ინდიკატორითაა განსაზღვრული. მიუხედავად სირთულეებისა, მობილიზატორები ახერხებენ მსხვერპლთან მუშაობას. ატარებენ მასთან შეხვედრებს, განუმარტავენ საკუთარ უფლებებს.
ფოთში რამდენიმე თვეა მობილიზატორები თანამშრომლობენ ძალადობის მსხვერპლთან. მან ვერ გადაწყვიტა, როგორ შეცვალოს თავისი მდგომარეობა, რადგან ეშინია, უფრო უარეს დღეში არ აღმოჩნდეს. სამთვიანი მუშაობის შემდეგ მსხვერპლმა გადაწყვიტა, ესაუბროს ფსიქოლოგს და მერე დაიწყოს მოქმედება. ის საერთო შეხვედრას დაესწრო. დისკუსიაში არ ჩართულა, ახლა ფიქრობს, იურისტისგან მიიღოს კონსულტაცია და გაერკვეს, რა შესაძლებლობები აქვს ქალს ძალადობის დროს და რისი გამოყენება შეუძლია.
საანგარიშო პერიოდში შეივსო ძალადობის მსხვერპლის 13 ანკეტა. ძალადობა, ძირითადად, ხდება მეუღლისგან, ყოფილი საყვარლისგან, რძლისგან. 13-დან 4 შემთხვევა პირველად მოხდა, ხოლო დანარჩენი 9 - წლების განმავლობაში გრძელდება. მსხვერპლთა დიდი ნაწილი ჯერჯერობით არ არის მზად, ითანამშრომლოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრთან. 3 ქალბატონმა გამოთქვა სურვილი, ისარგებლოს ფსიქოლოგის კონსულტაციით. ისინი ითხოვენ კონფიდენციალობას, რათა მეუღლემ არაფერი გაიგოს.

ქალები, რომელთაც სასამართლოს გზით საკუთარი უფლებების დაცვა მოახერხეს

წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრის იურისტს დახმარება სთხოვა ერთმა ქალბატონმა. ის ქმარს გაცილებულია. ბავშვები მამასთან ცხოვრობენ. ის არ აძლევს დედას შვილების ნახვის უფლებას. იურისტმა ურჩია, მიმართოს სასამართლოს. სასამართლო დაუკანონებს დღეებს ბავშვების სანახავად. ქალბატონი სოციალურად დაუცველია. მის უფლებებს იცავდა უფასო ადვოკატი. სასამართლო პროცედურების შემდეგ მან საქმე მოიგო და კვირაში ორი დღე დაუკანონეს ბავშვების სანახავად. პროცესში სოციალური სააგენტოც ჩაერთო და აკვირდება, რამდენად შესრულდება სასამართლოს გადაწყვეტილება.

სენაკში იურისტს დახმარება სთხოვა მამაკაცმა. მან გირაოთი აიღო ბინა ერთი წლის ვადით. ვადის გასვლის შემდეგ პატრონმა ვერ შეძლო კუთვნილი თანხის გადახდა. მას სურდა სასამართლოში საქმის შეტანა. იურისტის დახმარებით მომზადდა ყველა საჭირო დოკუმენტი სასამართლოსთვის. პროცესი მის სასარგებლოდ გადაწყდა და მეპატრონეს ფულის გადახდა დაეკისრა.

იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები და მოგვარებული პრობლემები

ფოთში იურისტს მიმართა ქალბატონმა რომელსაც აინტერესებდა მემკვიდრეობიდან საკუთარი წილის მიღების პროცესი. მას დაკარგული ჰქონდა დაბადების მოწმობა. იურისტმა მისცა კონსულტაცია - პირველ რიგში, აღადგინოს დაბადების მოწმობა და შემდეგ უკვე ადვილი იქნება მისთვის მემკვიდრეობითი წილის მიღება.
ქუთაისში იურისტს მიწის დაკანონებასა და გაფორმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიაკითხეს. ბენეფიციარს განემარტა, რა საბუთებია საჭირო პროცედურისთვის.
ნაბაკევში (გალის მუნიციპალიტეტი) იურისტს დახმარებისთვის მიმართა ქალბატონმა. მისი მეუღლე 8 წელია წასულია რუსეთში, არა აქვს კონტაქტი ოჯახთან, არ ეხმარება ფინანსურად, არ კითხულობს ბავშვებს. იურისტმა განუმარტა, რომ მას შეუძლია მეუღლის თანხმობის გარეშეც გააფორმოს განქორწინება.

ფსიქოლოგიური კონსულტაციების შედეგები

აგვისტოში ფონდი „სოხუმის“ ერთმა ფსიქოლოგმა სამი შეხვედრა ჩაატარა: წყალტუბოში, დევნილთა კოლექტიური ცენტრ „მედეაში“, ფოთის და ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში. მონაწილეებმა მოისმინეს ინფორმაციები ოჯახური ურთიერთობების განვითარების ეტაპებზე და კრიზისებზე, როგორც შეხვედრების მონაწილეებმა აღნიშნეს, ფსიქოლოგის რჩევები დაეხმარება მათ ოჯახური კრიზისის დაძლევაში და ჰარმონიის მიღწევაში.
ქუთაისის, სენაკის და ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში მეორე ფსიქოლოგთან სასაუბრო თემა იყო მშობლებსა და შვილებს შორის ოჯახური კრიზისების მოგვარება, როგორც ძალადობის პრევენციის გზა. ფსიქოლოგისგან საჭირო რჩევები მიიღეს, როგორ დააძლიონ კრიზისული სიტუაციები ოჯახში და როგორ მიაღწიონ სიმშვიდეს ურთიერთობაში.
შეხვედრების დასასრულს მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ განხილული თემები და მიღებული რეკომენდაციები მათთვის აუცილებელი და სასარგებლო იყო.

ერთი ისტორია

ფსიქოლოგს დახმარებისთვის დედამ მიმართა. მისი მონაყოლიდან ირკვევა, რომ კონფლიქტი აქვს საკუთარ შვილთან. გოჩა ყოფილი ნარკომანია. ახლა ხშირად სვამს. დედამ ვერაფერი მოუხერხა. ხშირად ესაუბრება, რომ არასწორად იქცევა, თავს დაიღუპავს, მაგრამ მაინც იგივეს აკეთებს. ნორმალურ მდგომარეობაში ყველასთან კარგი ურთიერთობა აქვს. როცა დათვრება, დედასთან ჩხუბს იწყებს და მათი კონფლიქტი ისე რთულდება, რომ ხშირად მეზობლები აშველებენ. ფსიქოლოგმა განუმარტა, რომ ამ მდგომარეობაში არ ჭრის მორალის წაკითხვა, რადგან ეს აღიზიანებს და სწორედ ამიტომაც არის დედასთან კონფლიქტში. მას მიეცა მითითება, დაეხმაროს, როგორც ავადმყოფს. მიაწოდა, რომ არსებობს სახელმწიფო პროგრამა მსგავსი კატეგორიის ადამიანებისთვის.
რამდენიმე კვირის შემდეგ ფსიქოლოგს აცნობეს, რომ დედამ მოახერხა და შვილი ე. წ. მეტადონის პროგრამაში ჩართო. იმედი აქვს, ექიმები მის შვილს დაეხმარებიან.

ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის მუშაობა

მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა ფოკუს-ჯგუფები ქუთაისსა და სენაკში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. გამოიკვეთა, რომ მათთვის პრობლემა აქტუალურია. აღინიშნა, რომ კანონში შესული ცვლილება ადგილობრივი ხელისუფლების როლის და უფლებამოსილების გაზრდის შესახებ დაეხმარება მათ, აქტიურად ჩაერთონ ძალადობის პრევენციულ მექანიზმებში.
ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა ძალადობის მსხვერპლ ქალებთან. მათ დააფიქსირეს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან გრძნობენ მხარდაჭერას და სახელმწიფო დახმარების ხარვეზებზე გააკეთეს აქცენტი.

ახალგაზრდული კლუბების მუშაობა

ეთიკური ნორმების და პიროვნული კულტურის ფორმირება, როგორც იარაღი ძალადობის პრევენციისთვის - ამ თემაზე ჩატარდა ახალგაზრდული კლუბის შეხვედრები ხონის, სენაკის და ხურჩა/კოკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში.
იყო საინტერესო ინტერაქტივი, საუბარი ეთიკაზე და ესთეტიკაზე.

წყალტუბოში, კოლექტიურ ცენტრ „მედეაში“, ფოთის და ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები მიეძღვნა თემას „ოჯახში ძალადობა და პრევენციული მიზეზები“.
მსგავსი თემების განხილვით ახალგაზრდები ეჩვევიან საუბარს, დისკუსიის კულტურას და უყალიბდებათ შეურიგებელი დამოკიდებულება ძალადობის მიმართ.

ფორუმ-თეატრის წარმოდგენები და მიღებული შედეგები

ფორუმ-თეატრმა სენაკის ცენტრალურ პარკში გამართა წარმოდგენები. მაყურებელი თავიდან შორიდან ადევნებდა თვალს წარმოდგენებს, შემდეგ თანდათანობით შეუერთდნენ ახალგაზრდა მსახიობებს.
დიდი ხმაური გამოიწვია ოჯახური ძალადობის სცენამ, დისკუსიაც შედგა. მაყურებელთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ მსგავსი რამ ნაკლებად ხდება ცხოვრებაში, რასაც არ დაეთანხმნენ მსახიობები და რეჟისორი. საინტერესო იყო ხალხის აზრის გაგება, რადგან სენაკის ცენტრში ეს იყო პირველი წარმოდგენა ქუჩაში.

ვორკშოპები კონფლიქტოლოგიაში და განხილული თემის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი

ვორკშოპები კონფლიქტოლოგიის საკითხებზე ჩატარდა ქალთა მხარდაჭერის ექვსივე ცენტრში. განსახილვევლი თემა იყო თვითშეფასება და მისი გავლენა ოჯახურ კონფლიქტებზე.
განსახილველმა თემამ ორივე ასაკობრივ ჯგუფში ერთნაირად მაღალი რეზონანსი გამოიწვია. ახალგაზრდების აზრით, ეს არის საკითხი, რომელიც სკოლაში უნდა ისწავლებოდეს, რადგან საზოგადოება სრულყოფილი ვერ იქნება, თუ ადამიანები არ იცნობენ საკუთარ თავს. ყველას ჰგონია, რომ კონფლიქტურ სიტუაციაში დამნაშავე მუდამ სხვა არის, რაც აძლიერებს კონფლიქტის დინამიკას.
ქალების ჯგუფში დაფიქსირდა, რომ ოჯახური კონფლიქტები, ძირითადად, ემყარება არასწორ თვითშეფასებას, საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას, რაც ხელს უწყობს კონფლიქტების განვითარებას.
მონაწილეები თვლიან, რომ სწორი თვითშეფასება ისწავლეს და მათ ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვლება, რადგან ამ მეთოდებს ისინი საკუთარ ოჯახებში დანერგავენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახური კონფლიქტების რიცხვი შემცირდება.

აგვისტოში გაიმართა გეგმით გათვალისწინებული 88 ღონისძიება

33 სამობილიზაციო შეხვედრა
6 შეხვედრა ფსიქოლოგთან ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში
12 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ფსიქოლოგთან ქუთაისში
6 იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში
12 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა იურისტთან ქუთაისში
6 ახალგაზრდული კლუბი
6 ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში
3 შეხვედრა ფორუმ-თეატრის წარმოდგენებით
2 ჩაღრმავებული ინტერვიუ
2 ფოკუს-ჯგუფი